



ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-01 31.01.2024

რექტორი  კ. ხვედილიძე



აკადემიური საბჭოს
დებულება

ნდ №2-010301-04

ბათუმი

2024



შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები4

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადა4

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს საქმიანობის პრინციპები, უფლებამოსილებები, უფლებამოსილებების განხორციელების ფორმები5

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, მუშაობის წესი, გადაწყვეტილების მიღება7

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს კომისიები9

მუხლი 6. დებულების დანართები9

მუხლი 7. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა9

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები9

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი10

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, იურისტი, ფაკულტეტების საბჭოების თავმჯდომარეები, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შეიმუშავდა ეს წესი;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. დებულების ორიგინალი (ელ. ვერსიის სახით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

გაგრძელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.

ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
4. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
5. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG - European Standards and Guidelines);
6. ENQA-ს რეკომენდაციები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით;
7. ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლების პირობებში (ESG-2015-ის სტანდარტებით);
8. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
9. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
10. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
11. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
12. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
13. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა;

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

- შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო, 5ნ საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;



- ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
ESG - European Standards and Guidelines;
ENQA - European Network for Quality Assurance;
სტს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „აკადემიური საბჭოს დებულება“ (შემდგომში - დებულება) ადგენს ბნსუ-ს მართვის ორგანოს - აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებებისა და საქმიანობის რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხების ძირითად განმსაზღვრელ წესებს;
2. აკადემიური საბჭო (შემდგომში - საბჭო) არის ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო წარმომადგენლობითი და რექტორის სათათბირო ორგანო, შექმნილია ბნსუ-ს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვის მიზნით, ხელს უწყობს ბნსუ-ს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობას, თანამედროვე მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფას, ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, განათლების სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით, მოქმედებს ბნსუ-ს შინაგანაწესის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების და სხვა მარეგულირებელი დებულებების/წესების დაცვით და რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ინდივიდუალური აქტების გათვალისწინებით, ასრულებს წინამდებარე და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და სხვ.;
3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდასაუნივერსიტეტო სხვა აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
4. ბნსუ-ს პერსონალი და ამ დებულების რეალიზებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა. უფლებამოსილების ვადა. უფლებამოსილების შეწყვეტა

1. აკადემიური საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შემადგენლობა:
 1. საბჭოს (ამავდროულად, საბჭოს სხდომების) თავმჯდომარე - არის ბნსუ-ს რექტორი (წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი/მოადგილე). საბჭოს თავმჯდომარე არის ბნსუ-ს უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი - ბნსუ-ს რექტორი, რომელიც, ამავდროულად არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ასრულებს წინამდებარე და ბნსუ-ში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით დაკისრებულ ფუნქციებს, მოქმედებს საბჭოს სახელით და ახორციელებს წარმომადგენლობით ფუნქციებს, საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვასა და საკითხის სრულყოფილ, ყოველმხრივ განხილვას, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს, სამეცნიერო-კვლევით საკითხებზე დებულობს გადაწყვეტილებებს საბჭოსთან შეთანხმებით, ვალდებულია ზრუნავდეს სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვაზე, საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაზე, წარმოადგენს ბნსუ-ს ქვეყნის შიგნით და გარეთ, აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, საგანმანათლებლო სივრცეში ბნსუ-ს ინტეგრაციის მიზნით თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, დარგობრივ და სხვ. დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, უფლებამოსილია დადოს შესაბამისი შეთანხმებები, მემორანდუმები და სხვ. რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მას უწყდება აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება. რექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე.
 2. საბჭოს წევრები - 1) კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, 2) ფაკულტეტების მიერ წარდგენილი წევრები (სულ მცირე 02 წევრი (საიდანაც სულ მცირე 50% - აფილირებული პირი) და სტუდენტები (სულ მცირე 01 სტუდენტი) თითოეული ფაკულტეტიდან. მითითებული მინიმალურისგან განსხვავებული რაოდენობები მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. აკადემიურ საბჭოში ყველა ფაკულტეტს ჰყავთ თანაბარი რაოდენობის (მათ შორის, აფილირებული) წარმომადგენელი - საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ბნსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი (რომელიც არ უნდა იყოს დამამთავრებელ კურსზე), საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტების სტუდენტების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ხმათა უმრავლესობით ფარული კენჭისყრით; 3) რექტორის ინდივიდუალური აქტით საბჭოში შეიძლება შევიდნენ: რექტორის მოადგილე, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები და/ან სხვა პირები. ამ გზით აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შესულ პირთა რაოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს არჩეულ წევრებთა რაოდენობის 1/2-ზე მეტი;
 3. საბჭოს (ამავდროულად, საბჭოს სხდომების) მდივანი - არის აკადემიური საბჭოს წევრი, რომელსაც საბჭო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.
2. საბჭოს უფლებამოსილების ვადა, თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა:



- საბჭოს უფლებამოსილების ვადა 4 წელია. ქვემოთ მითითებული აკონკრეტებს უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის წესს:
საბჭოს თავმჯდომარის შემთხვევაში - საბჭოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა, რექტორის ფუნქციების შესრულების (შრომითი ხელშეკრულების მოქმედების) ვადა;
1) საბჭოს წევრის (ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან არჩეული) შემთხვევაში - საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა, შრომითი ხელშეკრულების მოქმედი ვადა. აფილირებული პერსონალის კვოტით წევრობის შემთხვევაში - ასევე, აფილირების ვადა;
2) საბჭოს წევრის (კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის) შემთხვევაში - საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულების (შრომითი ხელშეკრულების მოქმედების) ვადა;
3) საბჭოს წევრის (რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის) შემთხვევაში - საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა, შრომითი ხელშეკრულების მოქმედი ვადა;
4) საბჭოს მდივნის შემთხვევაში - საბჭოს მდივნის/წევრის უფლებამოსილების ვადა, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
- საბჭოს მოქმედი შემადგენლობით უფლებამოსილების შეწყვეტა:
1) საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;
2) პარტნიორთა კრება უფლებამოსილია დაითხოვოს საბჭოს მოქმედი შემადგენლობა და დანიშნოს ახალი არჩევნები (არაუგვიანეს 02 კვირისა) საბჭოს მიერ ერთსა და იმავე საკითხზე ზედიზედ 02-ჯერ გადაწყვეტილების ვერ მიღების შემთხვევაში, თუ ეს საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს გამართულ მუშაობას ან/და ბნსუ-ს განვითარებას.
- საბჭოს უფლებამოსილების ვადა, წევრის/თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები და შემდგომი ქმედებები:
 - საბჭოს თავმჯდომარე - საფუძვლები: პირადი განცხადება საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა (ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პირადი განცხადება/პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება რექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ბნსუ-ს მიერ და/ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები). რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს თავმჯდომარის და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. შემდგომი ქმედებები: მითითებულ შემთხვევებში საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული: ა) რექტორის მოვალეობის შემსრულებელი (არსებობის შემთხვევაში) ან ბ) რექტორის მოადგილე, რომელიც დროებით ასრულებს რექტორის მოვალეობებს;
 - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან არჩეული წევრისთვის - საფუძველი: პირადი განცხადება საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა, აფილირებული აკადემიური პერსონალის კვოტით საბჭოს წევრის შემთხვევაში - აფილირების შეწყვეტა, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ფაკულტეტის მიერ არჩეული წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ბნსუ-ს მიერ და/ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები. შემდგომი ქმედებები: საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის ფაკულტეტზე არაუგვიანეს 2 კვირისა ტარდება ახალი წევრის არჩევნები მოქმედი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით;
 - კვლევების ცენტრის ხელმძღვანელისთვის: საფუძველი: პირადი განცხადება საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს შესაბამისად საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. შემდგომი ქმედებები: კვლევების ცენტრის ხელმძღვანელისთვის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში: ა) მის ფუნქციას ასრულებს კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (არსებობის შემთხვევაში) ან ბ) არაუგვიანეს 2 კვირისა ტარდება ახალი წევრის საერთო საუნივერსიტეტო არჩევნები (საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, რომელსაც დაუდასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში კვლევის გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია არ უნდა იყოს კვლევების ცენტრის ხელმძღვანელისთვის დადგენილ კვალიფიკაციაზე ნაკლები). ორივე შემთხვევაში პირი ხდება საბჭოს წევრი მოქმედი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით;
 - რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წევრი - საფუძველი: პირადი განცხადება საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ბნსუ-ს მიერ და/ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები. შემდგომი ქმედებები: საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭო მომდევნო სხდომაზე, მაგრამ არაუგვიანეს 2 კვირისა, განიხილავს სტატუსშეწყვეტილი წევრის კომპეტენციის შესაბამის სფეროში ახალი წევრის განსაზღვრისა და საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის საჭიროებას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გამოიცემა

რექტორის შესაბამისი ბრძანება. პირი საბჭოს წევრი ხდება მოქმედი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით;

- საბჭოს მდივანი - საფუძველი: პირადი განცხადება საბჭოს მდივნის/წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრის/საბჭოს მდივნისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ბნსუ-ს მიერ და/ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები. შემდგომი ქმედებები: საბჭოს მდივნისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდგომ პირველივე სხდომაზე საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ახალ საბჭოს მდივანს საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
- საბჭოს ყველა წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საერთო საფუძველია მთლიანად აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა. შემდგომი ქმედებები: საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არაუგვიანეს 2 კვირისა ახალი შემადგენლობით აკადემიური საბჭოს შექმნა.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს საქმიანობის პრინციპები, უფლებამოსილებები, უფლებამოსილების განხორციელების ფორმები

- საბჭო საქმიანობას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:
 - სამართლიანობა, გამჭვირვალობა, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა;
 - გადაწყვეტილების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;
 - თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა ან ნებისმიერი სხვა ნიშნით.
- აკადემიური საბჭო:
 - განსაზღვრავს ბნსუ-ს განვითარების სტრატეგიულ, საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულებებს და პრიორიტეტებს;
 - შეიმუშავებს/განიხილავს ბნსუ-ს განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, მისიის, სტრატეგიული პრიორიტეტების პროექტებს და შესატან ცვლილებებს, რასაც განსახილველად წარუდგენს პარტნიორთა კრებას, ასევე, განიხილავს ბნსუ-ს ფაკულტეტების და კვლევების ცენტრის განვითარების პრიორიტეტებს;
 - არის ბნსუ-ს სამეცნიერო საბჭო, ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით სფეროში არსებული და ბნსუ-ში მოქმედი მიდგომებით, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმას და შემაჯამებელ ანგარიშს; განიხილავს ბნსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით ნაშრომებს/პროექტებს/რეცენზიებს/დასკვნებს/სხვ.; საჭიროების შემთხვევაში ქმნის დარგობრივ საკონკურსო კომისიას ნაშრომის/ პროექტების/სხვ. სამეცნიერო აქტუალობის, ბნსუ-ს პრიორიტეტებთან შესაბამისობის, შინაარსის აუთენტურობის დადგენის მიზნით;
 - განიხილავს საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევით ნაშრომში და სამეცნიერო ნაშრომში/სახელმძღვანელოში/მეთოდურ მასალაში/სხვ. დაფიქსირებული პლაგიატის, გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტებს, საჭიროების შემთხვევაში ქმნის ამ საკითხების შემსწავლელ კომისიას, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში იღებს რეკომენდაციას დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
 - განიხილავს ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს თანამონაწილეობით სამეცნიერო/სხვ. ნაშრომების გამოცემის/გამოქვეყნების და დაფინანსების მიზანშეწონილობის/შესაძლებლობის საკითხებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და დასკვნებს, რომლებსაც წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს;
 - პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით განიხილავს საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შეიმუშავებისა და განხორციელების, საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, დარგობრივ და სხვ. ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან/ცენტრებთან/სხვ. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. მიღებულ გადაწყვეტილებას/რეკომენდაციას/დასკვნას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს პარტნიორთა კრებას;
 - შეიმუშავებს და პარტნიორთა კრებას განსახილველად წარუდგენს რეკომენდაციებს ბნსუ-ს ბიუჯეტთან და ბნსუ-ს წესდებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით;
 - შეიმუშავებს/განიხილავს ბნსუ-ში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის, აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, პროგრამების განმარტაცილებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ატესტაციების ჩატარების პირობებს და წესებს; აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას; წინადადებებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) ან სხვ. შექმნის, გარდაქმნის, გაუქმების, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ; რეკომენდაციებს ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს მონაწილეობით ღონისძიებების (კვალიფიკაციის ამაღლების და სასერტიფიკატო კურსების/სემინარების/მასტერკლასების/ტრენინგების/სხვ., სპეციალისტების მოწვევა, სხვ.) ჩატარების, ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს სახელით/თანამონაწილეობით ჟურნალის, კრებულების, სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტების და სხვ. მომზადების, თარგმნის, გამოცემის მიზანშეწონილობის/აუცილებლობის შესახებ. ზემოთ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს განსახილველად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს;



9. განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციას ან საკუთარი ინიციატივით განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის ბნსუ-ს საპატიო დოქტორის და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ;
 10. განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციას ან საკუთარი ინიციატივით შეიმუშავებს რეკომენდაციას ახალი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების და/ან მოქმედი პროგრამების გაუქმების შესახებ. მიღებულ რეკომენდაციას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს პარტნიორთა კრებას;
 11. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამების ხელმძღვანელებს და პროგრამების ბიუჯეტებს, მოქმედ პროგრამებში ცვლილებებს, რომლებიც საჭიროებენ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებას. ასევე, საკუთარი ინიციატივით შეიმუშავებს რეკომენდაციას მოქმედ პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ და მიღებულ გადაწყვეტილებას განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
 12. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის; სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის; საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობას, საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა მიმართ დამატებით მოთხოვნებს; ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, პროგრამებს, გეგმებს და პროექტებს;
 13. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის წარდგინებით განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-სრულყოფის, სხვადასხვა პროგრამების/პროექტების და ღონისძიებების ჩატარებისა და დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხებს და ბნსუ-ს ბიუჯეტს;
 14. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს: ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ შიდა შეფასების წესს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, სხვადასხვა შეფასების/გამოკითხვის ანკეტებს/კითხვარებს, ინსტრუქციებს, წესებს, ფორმებს და სხვ., ჩატარებული მონიტორინგის/შეფასების შედეგებს, შემუშავებულ რეკომენდაციებს, დაგეგმილ ღონისძიებებს და სხვ. საჭიროების შემთხვევაში - შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
3. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია:
1. მიიღოს საბჭოს რეგლამენტი, გადაწყვეტილება, დადგენილება, მიმართვა, განცხადება, მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები;
 2. საჭიროებისამებრ ამა თუ იმ საკითხის სრულფასოვანი შესწავლის, გადაწყვეტილების მიღების ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით მოიწვიოს სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები ან/და შექმნას დროებითი კომისია/სამუშაო ჯგუფი;
 3. ნებისმიერ დროს ბნსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს, ბნსუ-ში მოქმედი/შექმნილი კომისიის/სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მოთხოვოს ინფორმაციის შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის და საბჭოს კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა;
 4. მიიღოს გადაწყვეტილება სამეცნიერო ნაშრომების/პროექტების საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული დასკვნის სრულად/ ნაწილობრივ გაზიარების ან გაზიარებაზე უქრის თქმის შესახებ;
 5. მიიღოს გადაწყვეტილება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შემსწავლელი კომისიის მიერ მიღებული დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმის (მათ შორის, საკითხის განმეორებით შესწავლის) ან არსებული დასკვნის გაზიარების (უცვლელად დატოვების) და შესაბამისი დისციპლინური სანქციის დაკისრების მოთხოვნის შესახებ;
 6. წინამდებარე დებულებაში აღწერილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და რეკომენდაცია რექტორისთვის, ფაკულტეტის დეკანისთვის, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
 7. წინამდებარე დებულებაში აღწერილი წესით შეაჩეროს, შეცვალოს, გააუქმოს აკადემიური საბჭოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილება;
 8. წინამდებარე დებულებაში აღწერილი წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს და შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს ფაკულტეტის საბჭოს კონკრეტული გადაწყვეტილება (გარდა კვალიფიკაციების მინიჭების გადაწყვეტილებისა);
 9. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ერთსა და იმავე საკითხზე ზედიზედ 02-ჯერ გადაწყვეტილების ვერ მიღების შემთხვევაში (თუ ეს საფრთხეს უქმნის ბნსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას და/ან ბნსუ-ს გამართულ მუშაობას) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
 10. აკადემიური საბჭოს კომპეტენციის სფეროში შემავალი საკითხის განხილვის შედეგად, მოტივირებული გადაწყვეტილებით შეაჩერონ, შეცვალონ ან გააუქმონ ფაკულტეტის საბჭოს კონკრეტული გადაწყვეტილება;
 11. გადაწყვეტოს თავისი დადგენილებით საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც ეხება ბნსუ-ს საქმიანობას და მიეკუთვნება საბჭოს კომპეტენციის სფეროს, მაგრამ არ არის მითითებული წინამდებარე დებუ-



ლებში და განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობა ბნსუ-ს მიერ დადგენილი მარეგულირებელი წესების, განსაზღვრული პრიორიტეტების, ბნსუ-ს ავტონომიის და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში;

12. აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, მუშაობის წესი, გადაწყვეტილების მიღება

1. აკადემიურ საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომებს უძღვება საბჭოს თავმჯდომარე - ბნსუ-ს რექტორი (რექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში - პარტნიორთა კრების მიერ რექტორის უფლებამოსილების დროებით შემსრულებლად განსაზღვრული პირი - რექტორის მოადგილე ან რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს);

2. საბჭოს საქმიანობას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი (ამავდროულად, სხდომების მდივანი) - საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი (საბჭოს მდივნის/საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ახალ მდივანს, ხოლო საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში - ირჩევს სხდომის მდივანს). საბჭოს მდივანი პასუხისმგებელია საბჭოს წევრთა დოკუმენტურ და საინფორმაციო უზრუნველყოფაზე და სხდომების ორგანიზებაზე, ადგენს და საბჭოს წევრებს გადასცემს სხდომაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალს და შესაბამის მასალას, აწარმოებს სხდომის ოქმებს და სხვ.;

3. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი, გადაწყვეტილების მიღება, სხდომის ოქმი:

1. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ერთხელ კალენდარული წლის განმავლობაში;
2. განცხადება საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღის, დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ უნდა გაკეთდეს სხდომამდე (ინფორმაცია განთავსდება ბნსუ-ს ვებ-გვერდზე/საინფორმაციო დაფაზე და/ან გაეგზავნება საბჭოს წევრებს ელ.ფოსტაზე). განსახილველი მასალები საბჭოს წევრებს ეცნობათ სხდომის გამართვამდე მინიმუმ 05 კალენდარული დღით ადრე ადრე (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ამ ვადის დაცვა შეუძლებელია);
3. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვთ პარტნიორთა კრებას, რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს, დეკანს და აკადემიური საბჭოს წევრთა უმრავლესობას. რიგგარეშე სხდომის დანიშვნის მოთხოვნა, დღის წესრიგის პროექტი და შესაბამისი მასალები საბჭოს წევრებს მიეწოდებათ სხდომის გამართვამდე მინიმუმ 02 კალენდარული დღით ადრე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ამ ვადის დაცვა შეუძლებელია);
4. საბჭოს წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დამატებითი განსახილველი საკითხის შეტანა. აღნიშნული მოთხოვნა და შესაბამისი მასალები გადაეცემა საბჭოს თავმჯდომარეს და სხვა წევრებს სხდომის გამართვამდე მინიმუმ 05 კალენდარული დღით ადრე ადრე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ამ ვადის დაცვა შეუძლებელია);
5. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში (გადაუდებელი აუცილებლობიდან ან საკითხის სიმარტივიდან გამომდინარე) საბჭოს სხდომაზე საკითხი წარმოადგინოს წინასწარი მომზადების გარეშე;
6. საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა ან კონკრეტული საკითხის განხილვა გარკვეული დროით შეაჩეროს ან შეწყვიტოს (თუ ეს საკითხები აქტუალური აღარ არის ან სხდომის ჩატარების მომენტისთვის ამოწურულია);
7. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3;
8. საბჭოს თავმჯდომარე/წევრი, საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის წევრი ან საბჭოს მიერ საკითხის განხილვის მიზნით მოწვეული პირი (ექსპერტი/სხვ.) ვალდებულია განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ობიექტურად გადაწყვეტილების მიღებაში, და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ;
9. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით (გარდა კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
10. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა 1/2--ზე მეტი (გარდა წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
11. გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭოს წევრები სარგებლობენ თანაბარი ხმის უფლებით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;
12. სხდომის დღის წესრიგში დამატებითად საკითხის შეტანა ხდება საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
13. საბჭოს წევრთა რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ. ამ შემთხვევაში, ღია კენჭისყრის წესით, საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით, აირჩევა ხმისდამთვლელი კომისია მინიმუმ 02 წევრის შემადგენლობით. კენჭისყრის შედეგები ფორმდება ოქმით. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება. კენჭისყრის შემდეგ ბიულეტენები ინახება სპეციალურ კონვერტში, რომელიც -

- ერთვის სხდომის ოქმს (ინახება ოქმთან ერთად);
14. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის, შეჩერების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი, თუ ეს საკითხი მიეკუთვნება აკადემიური საბჭოს კომპეტენციის სფეროს (გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით);
 15. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს აკადემიური საბჭოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის, შეჩერების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი (გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით);
 16. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევის, ბნსუ-ს გამართული საქმიანობისთვის ხელისშემშლის ან დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების საფუძველით (გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით);
 17. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს საკითხი რექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევის, ბნსუ-ს გამართული საქმიანობისთვის ხელისშემშლის ან დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების საფუძველით (გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით). უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მოტივირებული მოთხოვნით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;
 18. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს საკითხი ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევის, ბნსუ-ს გამართული საქმიანობისთვის ხელისშემშლის ან დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების საფუძველით (გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით). უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება საბჭოს მოტივირებული მოთხოვნით რექტორის ბრძანებით;
 19. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ შეიძლება დადგეს საკითხი ფაკულტეტის დეკანისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევის, ბნსუ-ს გამართული საქმიანობისთვის ხელისშემშლის ან დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების საფუძველით (გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით). უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება საბჭოს მოტივირებული მოთხოვნით რექტორის ბრძანებით;
 20. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 1/2-ის მიერ მიიღება გადაწყვეტილება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება დახურულ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა 1/2-ით (გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით);
 21. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ განიხილება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის შემსწავლელი კომისიის დასკვნა დარღვევის ფაქტის შესახებ. გადაწყვეტილება დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმის (მათ შორის, საკითხის განმეორების შესწავლის) ან დასკვნის გაზიარების (უცვლელად დატოვების) და შესაბამისი დისციპლინური სანქციის დაკისრების რეკომენდაციის შესახებ მიიღება დახურულ სხდომაზე, დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით (გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით);
 22. საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მიერ განიხილება სამეცნიერო ნაშრომების/პროექტების შემსწავლელი საკონკურსო კომისიის დასკვნა კონკურსში გამარჯვებული ნაშრომების/პროექტების შესახებ. გადაწყვეტილება დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმის ან სრულად/ნაწილობრივ გაზიარების შესახებ მიიღება დახურულ სხდომაზე, ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით (გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით);
 23. საბჭოს სხდომაზე, ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგში მოცემულ საკითხთან (კენჭისყრაში არ მონაწილეობენ);
 24. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის რეგლამენტით გათვალისწინებული, გადაუდებელი ან სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტის მიზნით ექსპერტის მოწვევის და/ან დროებითი კომისიის შექმნის და მომდევნო სხდომებზე მათი მოხსენების/ანგარიშის განსახილვის შესახებ;
 25. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც აწარმოებს სხდომის მდივანი;
 26. თუ სხდომაზე მიმდინარეობს აუდიო- ან ვიდეო- ჩანაწერი, მაშინ ჩანაწერი ინახება ოქმის წერილობით გაფორმებამდე და ხელმოწერამდე;
 27. საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:
 - 1) მართვის ორგანოს დასახელება;

- 2) სხდომის თარიღი და ადგილი;
 - 3) სხდომის თავმჯდომარის, სხდომის მდივნის, წევრების ვინაობა;
 - 4) სხდომაზე მოწვეულ/დამსწრე პირთა სია (არსებობის შემთხვევაში);
 - 5) დღის წესრიგი;
 - 6) გამოთქმული მოსაზრებები, კენჭისყრის შედეგები;
 - 7) მიღებული გადაწყვეტილება.
28. სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
29. საბჭოს სხდომის ოქმი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისათვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (სხდომის ან მისი ნაწილის დახურვა);
30. საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, საბჭო წყვეტს თავისი დადგენილებით.
4. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ვერ მიღების შემთხვევაში არაუგვიანეს 07 კალენდარული დღისა ინიშნება მომდევნო სხდომა;
5. საბჭოს მიერ ერთსა და იმავე საკითხზე ზედიზედ 02-ჯერ გადაწყვეტილების ვერ მიღების შემთხვევაში (თუ ეს საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს გამართულ მუშაობას ან/და ბნსუ-ს განვითარებას) პარტნიორთა კრება უფლებამოსილია თავად განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ასევე დაითხოვოს საბჭოს მოქმედი შემადგენლობა და დანიშნოს ახალი არჩევნები (არაუგვიანეს 02 კვირისა საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან);
6. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია აკადემიური საბჭოს კომპეტენციის სფეროში შემავალი ნებისმიერი საკითხის განხილვის შედეგად მოტივირებული გადაწყვეტილებით შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს საბჭოს კონკრეტული გადაწყვეტილება და შესთავაზოს საბჭოს საკითხის გადაჭრის ალტერნატიული ვერსია/მექანიზმი.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს კომისიები

1. წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შექმნას სხვადასხვა კომისიები, განსაზღვროს მათი შემადგენლობა, შესასრულებელი ამოცანა, საქმიანობის ვადა, კომისიის დროებითი/მუდმივმოქმედი სტატუსი, სხვ.;
2. კომისიების მუშაობის ზოგადი წესი: კომისია იქმნება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის მიერ. კომისიის შემადგენლობა (კომისიის წევრები), მუშაობის ვადა და სხვ. განპირობებულია განსახილველი საკითხების სპეციფიკით. დროებითი კომისიის უფლებამოსილება წყდება კონკრეტული ფუნქციის/ამოცანის შესრულებისთანავე. პირველივე სხდომაზე კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს - კომისიის თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომებს (სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს), კომისიის მდივანი პასუხისმგებელია კომისიის მუშაობის საორგანიზაციო-საინფორმაციო უზრუნველყოფაზე და სხდომის ოქმებში ასახული ინფორმაციის სისწორეზე, არის კომისიის წევრი, მონაწილეობს საკითხების განხილვაში და კენჭისყრაში (სხდომაზე კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სხდომის მდივანს). კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/2. კომისიის წევრი/თავმჯდომარე/კომისიის მუშაობაში მონაწილე პირი ვალდებულია განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ობიექტურად გადაწყვეტილების მიღებაში, და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტის მიზნით ექსპერტის მოწვევის შესახებ. კომისიის ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭირეს სხდომაზე დამსწრე წევრთა 1/2-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე კომისიის სხდომა დახურულია. კომისიის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა (თუ კომისიის განიხილება დარგობრივი სპეციფიკის მქონე საკითხი - გადამწყვეტია კომისიის წევრის დარგის პოზიცია). კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელშიც მითითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; თავმჯდომარის, მდივნის, წევრების ვინაობა; მოწვეულ/დამსწრე პირთა ვინაობა (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები, მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მდივანი. კომისიის სამუშაო დღეები - ორშაბათი-შაბათი. კომისიის დასკვნებს/რეკომენდაციებს განიხილავს აკადემიური საბჭო. კომისიის სხდომის ოქმები და კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა მასალები გადაეცემა ბნსუ-ს კანცელარას;
3. კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, მუშაობის/გადაწყვეტილების მიღების და სხვ. საკითხები შეიძლება იყოს განსხვავებული ზემოთ მითითებულისაგან, თუ ეს საკითხები დაკონკრეტებულია ბნსუ-ში მოქმედ სხვა დებულებებში/წესებში.

მუხლი 6. დებულების დანართები

1. წინამდებარე წესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 7. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭო, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. დებულების მუხლებს წანამდგრეობილი აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
5. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/ დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
7. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი
1	31.01.2024	მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა. უფლებამოსილების ვადა. უფლებამოსილების შეწყვეტა. საბჭოს შემადგენლობას დაემატა საბჭოს წევრი-სტუდენტი